



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მონიტორინგის შედეგები

კვლევა „საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მონიტორინგის შედეგები“ მომზადდა და გამოიცა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და მისი აღქმა OSGF-ის პოზიციად დაუშვებელია.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

შინაარსი

შესავალი	3
საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვის მონიტორინგის შედეგები	4
საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პერსონალური მონაცემების დაშტრიხვის წესის ხარვეზები	6
საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლის დისციპლინურ სამართალწარმოების პრობლემატური ასპექტები	10
საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელებისა და წარდგინებების განხილვის ვადები	12
საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ინფორმაციის საჯაროობის პრინციპის უზრუნველყოფის პრობლემები	16
საკონსტიტუციო სასამართლოს ადმინისტრაციული ხარჯების ანალიზის შედეგები	18

შესავალი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) ფონდ “ღია საზოგადოება საქართველოს” ფინანსური მხარდაჭერით, 2017 წლის აპრილის თვიდან 2018 წლის მაისის ჩათვლით განახორციელა “საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობის და გამჭვირვალობის ხელშეწყობის პროექტი”.

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მონიტორინგი მოიცავდა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებს, კერძოდ:

- საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებისთვის, პროექტის გუნდმა გაანალიზა მოქმედი კანონმდებლობა და მოამზადა შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები;
- საკონსტიტუციო პროექტის მიმდინარეობისას ასევე შესწავლილ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების ასპექტები და გამოკვეთილ იქნა კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები;
- გაანალიზდა საკონსტიტუციო სასამართლოს ადმინისტრაციული ხარჯები და ფინანსური ანგარიშები და შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები;
- შეფასებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტები;
- შესწავლილ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელებისა და წარდგინებების განხილვის ვადები;
- გამოკვეთილ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებებში პერსონალური მონაცემების დაშტრიხვის პრობლემატური მხარეები;
- განხორციელდა რამდენიმე ე.წ. მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმის განხილვის მონიტორინგი საკონსტიტუციო სასამართლოში, რათა შეფასებულიყო სასამართლოში საქმეთა განხილვის პროცესუალური ასპექტები;
- გამოკვეყნდა დამოუკიდებელი ექსპერტების სამართლებრივი მოსაზრებები საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებშიც კრიტიკულად იქნა განხილული გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილები.¹

¹ მოსაზრებები ხელმისაწვდომია IDF-ს ვებგვერდზე <https://bit.ly/2IW57g5>

I

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვის მონიტორინგის შედეგები

პროექტის მიმდინარეობისას განხორციელდა საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველი 4 საქმის მონიტორინგი². მონიტორინგის ფარგლებში, მონიტორები ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს საკონსტიტუციო სასამართლოში და აფასებდნენ: სხდომის ჩატარების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის ხარისხს, სასამართლო სხდომის ჩატარების ორგანიზაციულ და ტექნიკურ მხარეს, პროცესის მიმდინარეობისას მხარეთა პროცესუალური უფლებების სრულყოფილად რეალიზების საკითხს და სხდომის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებით ჩატარებასთან დაკავშირებულ ასპექტებს. კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით ასევე მომზადდა პროცესის შინაარსობრივი მხარის მოკლე შეჯამება, რომელთა მიზანი იყო ფართო საზოგადოებისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია მხარეთა და პროცესში ჩართული სხვა პირების სამართლებრივი პოზიციების შესახებ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს გასამართლი სხდომების შესახებ საზოგადოების დროულ ინფორმირებულობას. როგორც წესი, სასამართლოს განხილვის შესახებ ინფორმაცია სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე თავსდება პროცესის წინა დღეს, რაც უკიდურესად ართულებს დაინტერესებული პირების მიერ სასამართლო პროცესზე დასწრებას. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია იმ პირებისთვის, ვინც ქალაქ ბათუმში არ ცხოვრობენ, სადაც იმართება სასამართლო სხდომები. შესაბამისად დღეს არსებული პრაქტიკით, პროცესის საჯაროობის პრინციპის პრაქტიკული რეალიზება ხარვეზიანია.

პროცესის საჯაროობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დააკვირდნენ პროცესის მიმდინარეობას, ამისთვის კი სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ ჩასატარებელი სასამართლო სხდომების შესახებ ინფორმაცია მაქსიმალურად გონივრული ვადით ადრე იყოს ცნობილი და განთავსებული სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ორგანიზაციული კუთხით ასევე აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომები როგორც წესი, იწყებოდა თითქმის ერთი საათის დაგვიანებით. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პროცესები გრძელდებოდა რამდენიმე დღე, მათ შორის არასამუშაო საათებში. ზოგადად, საერთაშორისო პრაქტიკაში ასეთი ხანგრძლივი პროცესები უჩვეულოა კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებში, თუმცა ადგილობრივ კონტექსტში იგი შეიძლება

² პროექტის ფარგლებში მონიტორინგი გაეწია საკონსტიტუციო სასამართლოში განხილულ შემდეგ 4 საქმეს - „საქართველოს მოქალაქე გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (ე.წ. „მოსმენების საქმე“), „საქართველოს მოქალაქეები გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მათი ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

გამოწვეული იყოს გაუმართავი პროცედურული კანონმდებლობით. მაგალითად, არსებული კანონმდებლობით, მოპასუხე მხარეს არ ევალება სხდომის ჩანიშვნამდე სასამართლოს და მხარეს გაუგზავნოს თავისი მოსაზრებები სადავო ნორმასთან მიმართებით, შესაბამისად როგორც სასამართლოს ასევე მხარეს მხოლოდ სასამართლო სხდომაზე უწევთ მოპასუხის პოზიციის გაგება, რაც შესაძლებელია ასევე იწვევდეს სრულიად ახალი საკითხების წამოჭრას, რომლისთვისაც არც მოსარჩელე და არც სასამართლო არ იყო აქამდე ინფორმირებული. სხვა მხრივ, სასამართლოს პროცესის ორგანიზების კუთხით არ გამოვლენილა რაიმე ტიპის არსებითი ხარვეზი, რომელიც რეალურ გავლენას იქონიებდა მხარეთა უფლებებზე ან პროცესის საჯაროობის პრინციპზე.

პროცესის მონიტორინგის ეტაპზე ასევე დაფიქსირდა, რომ სასამართლო მკაცრად არ იცავდა სხდომის სხვადასხვა ეტაპების თანმიმდევრობას და მაგილათად დასკვნით სიტყვებზეც ხდებოდა მოსამართლეების მხრიდან გარკვეული კითხვების დასმა მხარეებისთვის, თუმცა აღნიშნული არსებით ხარვეზად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გადაწყვეტილების მისაღებად მისთვის მნიშვნელოვანი საკითხები დააზუსტოს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების განხილვისას მოსამართლეებს შორის იგრძნობდა გარკვეული დამაბულობა. იყო შემთხვევები, როცა მოსამართლეები პროცესის მიმდინარეობისას სიტყვიერად [დაუპირისპირდნენ](#) ერთმანეთს, რაც ცხადია სცილდება, მოსამართლეთა შორის აზრთა სხვადასხვაობის ჯანსაღ პროცესს და აზიანებს სასამართლოს ავტორიტეტს საზოგადოებაში.

რეკომენდაციები:

- პროცესის საჯაროობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დააკვირდნენ პროცესის მიმდინარეობას, ამისთვის კი სასამართლომ და კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ჩასატარებელი სასამართლო სხდომების შესახებ ინფორმაცია მაქსიმალურად გონივრული ვადით ადრე იყოს ცნობილი;
- მნიშვნელოვანია, რომ საქმესთან დაკავშირებით მოსამართლეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არ გასცდეს ეთიკურ ფარგლებს და არ დატოვოს პერსონალური თუ პოლიტიკური დაპირისპირების აღქმა;
- მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ უზრუნველყოს პროცესების ადეკვატური დაგეგმვა და დანიშნულ დროზე დროულად დაწყება.;
- მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს პროცესების ხანგრძლივობის დროში შემცირების გზები და ამ კუთხით მოპასუხის მიერ პროცესის დაწყებამდე საკუთარი პოზიციების წერილობით წარდგენის ვალდებულების საკითხი.

II

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პერსონალური მონაცემების დაშტრიხვის წესის ხარვეზები

პროექტის მიმდინარეობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ თავის პრაქტიკაში პირველად მიიღო გადაწყვეტილება, სადაც მოსარჩელის მონაცემები მხოლოდ ინიციალებით იყო მოცემული, რამაც სასამართლოს საქმიანობით დაინტერესებულ პროფესიულ წრეებში აზრთა სხვადასხვა გამოიწვია.

კერძოდ, 2017 წლის 15 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო საქართველოს მოქალაქე ს.გ.-ს კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის N864). სარჩელის ფარგლებში სადავოდ იყო გამხდარი იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებითაც სამართალდამცავების მიერ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში შემაკავებელი ორდერის დისკრეციული წესით გამოცემა იყო დადგენილი. 2017 წლის 12 ოქტომბერს კი საკონსტიტუციო სასამართლომ ამავე საქმეზე მიიღო განჩინება, რომლითაც საქმე შეწყდა სადავო ნორმების ცვლილების გამო.

სასამართლოს მიერ როგორც 15 თებერვალს ისე 12 ოქტომბერს მიღებულ ორივე აქტში, მოსარჩელის სახელი და გვარი დაშტრიხულია. ამავე დროს, 2017 წლის 12 ოქტომბრის განჩინების შემთხვევაში, სასამართლომ დაშტრიხვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ხოლო 15 თებერვლის გადაწყვეტილების შემთხვევაში კი, მის გარეშე, საკუთარი ინიციატივით დაშტრიხა მოსარჩელის მონაცემები.

სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2017 წლის 12 ოქტომბრის დაშტრიხვის შესახებ გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. კერძოდ, მოსარჩელემ იშუამდგომლა, რომ მას „მიზანშეწონილად არ მიაჩნია განსახილველ საქმეზე სასამართლო პროცესის დახურვა, თუმცა მართებულად მიიჩნევს, საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული დოკუმენტების გამოქვეყნებისას დაიფაროს ან ინიციალებით აღინიშნოს მოსარჩელის პერსონალური მონაცემები“. სასამართლომ 2017 წლის 12 ოქტომბერს მიღებულ განჩინებაში განმარტა, რომ მსგავსი ქმედების მიზეზს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დაცვა წარმოადგენდა.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, იმის გათვალისწინებით, რომ კონსტიტუციური სარჩელი ეხება ოჯახური ძალადობის მსხვერპლს და უშუალოდ მის მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობის ფაქტებს, მოსარჩელის ვინაობის გასაჯაროება იძლევა ამ პირის შესახებ საზოგადოებისთვის იმ ტიპის ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობას, რომელიც უადრესად პირად და სენსიტიურ თემას ეხება. კერძოდ, მასზე სხვადასხვა ფორმით ოჯახში განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისთვის დაშვებული გამონაკლისი შემთხვევები.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი გიორგი კვერენჩილაძე არ დაეთანხმა 12 ოქტომბრის განჩინების განჩინებაში მონაცემების დაშტრიხვის სავალდებულობას და მიუთითა, რომ „საქმის დასახელება, მოსარჩელე და მოპასუხე მხარის, საქმის განხილვის მონაწილეების ვინაობა წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის განუყოფელ ნაწილს. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის დეპერსონალიზაციის ან მონაცემთა სხვაგვარი დაფარვის შედეგად, ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლოს სული ტექსტი ვერ გამოქვეყნდება“ და, შესაბამისად, ვერ შესრულდება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნები. მოსამართლემ მიუთითა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს აქვს უპირატესი იურიდიულ ძალა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებით. შესაბამისად, მისი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებული იყო ეხელმძღვანელა ორგანული კანონით და გამოქვეყნებინა განჩინების სრული ტექსტი.

მოსამართლემ ყურადღება ასევე გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკით სასამართლოს მიერ მიღებულ აქტებში მონაცემების დაშტრიხვა არ ხდებოდა და განსახილველ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო მონაცემების დაშტრიხვისას დაეყრდნო კანონის იმ ნორმას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოშია გასაჩივრებული და რომლის კონსტიტუციურობაც ამავე კოლეგიამ უნდა შეაფასოს. მოსამართლემ აგრეთვე აღნიშნა, რომ არსებული კანონმდებლობით დოკუმენტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის საკითხის უნდა გადაწყვიტოს უშუალოდ ადმინისტრაციულმა ორგანომ ან უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პერსონალურ მონაცემთა დაფარვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შეფასება

საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო დოკუმენტებით გარანტირებული სასამართლო განხილვების საჯაროობის პრინციპი, თავის თავში მოიაზრებს გადაწყვეტილებების საქვეყნოობისა და საჯაროობის პრინციპსაც. აღნიშნული პრინციპები გულისხმობს არამხოლოდ სასამართლო პროცესზე ფიზიკურად დასწრებას, არამედ პირის უფლებას, დაუბრკოლებელი წვდომა ჰქონდეს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა, მისი გაცნობა და შეფასება, რიგ შემთხვევაში შესაძლოა, მხოლოდ მართლმსაჯულების კონკრეტული სუბიექტის პიროვნების გათვალისწინებით იყოს მნიშვნელოვანი, რადგან აღნიშნულ თავისებურებები განსაკუთრებულ როლს თამაშობს სასამართლო გადაწყვეტილებების სრულად აღსაქმელად. ხშირ შემთხვევაში, სწორედ ეს ინფორმაცია იწვევს კონკრეტული გადაწყვეტილების მიმართ ლეგიტიმურ ინტერესს. ასევე მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ კონსტიტუციური სარჩელის განხილვა საჯარო სხდომაზე მიმდინარეობს, სადაც ნებისმიერ პირს აქვს დასწრების და საქმის დეტალების შესახებ ინფორმაციის თავისუფლად მიღების საშუალება.

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში, საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოებისაგან განსხვავებით, არ ფარავდა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას. თავის მხრივ, საერთო სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა კი, ხშირად გამხდარა საფუძვლიანი კრიტიკის საგანი.

ამ კუთხით, გასათვალისწინებელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გამოცდილება, კერძოდ განმცხადებლებმა, რომლებსაც არ სურთ საკუთარი ვინაობის საჯაროდ გამოქვეყნება, თხოვნით უნდა მიმართონ სასამართლოს და მიუთითონ მიზეზები, რის გამოც, საჭიროა სასამართლოს გადაწყვეტილებაში პერსონალური მონაცემების დაფარვა. სასამართლო ინდივიდუალურად აფასებს დაპირისპირებულ ინტერესებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას მოსარჩელეთა ვინაობის დაფარვის თაობაზე. შესაბამისად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონტექსტში არსებობს ჩამოყალიბებული წესები და სტანდარტები, რომლებიც ემსახურება დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენას.

ექვგარეშეა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კონტექსტში გადაწყვეტილებების საჯაროობის უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მისი გადაწყვეტილებები ეხება არამარტო კონკრეტულ მოსარჩელებს, არამედ პირთა განუსაზღვრელ წრეს და შეიძლება იწვევდეს სისტემურ ცვლილებებს ქვეყანაში. ამის ფონზე, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესწავლისას გამოიკვეთა კონკრეტული სამართლებრივი პრობლემებიც რაც საჭიროებს დახვეწას:

ა. პერსონალურ მონაცემთა დაფარვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება

- საჯარო ინფორმაციის გაცემა და შესაბამის დოკუმენტის დეპერსონალიზაციის თაობაზე გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობით წარმოადგენს ადმინისტრაციულ პროცესს და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი ან ორგანო; საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია კი, რომელმაც გადაწყვეტილებები დამტრია, იქმნება და ფუნქციონირებს მხოლოდ საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელების მიზნებისათვის. შესაბამისად, კოლეგია, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისგან და პლენუმისგან განსხვავებით, არც კანონმდებლობით და არც საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით ცხადად არ არის უფლებამოსილი გადაწყვიტოს ესა თუ ის ადმინისტრაციული საკითხი.

- ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში არ არის გაწერილი წესები, თუ რა შემთხვევაში შეუძლია პირს მოითხოვოს პერსონალური მონაცემების დაფარვა, რა პროცედურებით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ და რა შემთხვევაში დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა.

- ზოგადად არსებობს სხვადასხვანაირი მოდელი, მათ შორის, როდესაც თავად სასამართლო წყვეტს როდის მოხდეს პერსონალური მონაცემების დაფარვა, მაგრამ აუცილებელია ეს უფლებამოსილება სასამართლოს მინიჭებული ჰქონდეს შესაბამისი კანონმდებლობით ან შიდა აქტით. თუმცა, საკანონმდებლო რეგულირების არარსებობის პირობებშიც, აუცილებელია, აღნიშნული საკითხი, თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად შეფასდეს, განსახილველ საქმეში არსებული გარემოებების ზედმიწევნით შესწავლით.

ბ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენების პრობლემურობა

- საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ ჰქონია შეემთხვევა, როდესაც საკითხი შეეხებოდა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს, მიუხედავად ამისა იგი მაინც არ შიფრავდა გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ჩვენ მიერ განხილული შემთხვევა შეიძლება ჩაითვალოს პრაქტიკიდან ამოვარდნილად. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს იმავე

კოლეგიამ 2017 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტი წინააღმდეგ) არ დაშიფრა პირის ნასამართლეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ასევე წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს.

- გარდა ამისა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პერსონალურის მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-6 მუხლის გამოყენება არის თავისთავად პრობლემური, რადგანაც სადავოა თუ რამდენად მიეკუთვნებოდა ეს შემთხვევა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს. კანონის თანახმად განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლეობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები. ამ საფუძველებიდან არცერთი მათგანი არ მოიაზრებს მოსარჩელის შემთხვევას, რომელიც შეეხებოდა შემაკავებელი ორდერის გამოცემას და მასზე განხორციელებულ ოჯახური ძალადობის შესახებ ინფორმაციას. ამგვარი ინფორმაცია შეიძლება ჩაითვალოს პერსონალურ მონაცემად და არა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემად.

- იმ შემთხვევაში, როცა სახეზე არ არის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი, მათი გამჟღავნება შეიძლება გამონაკლის შემთხვევებში, თუ აღნიშნული გათვალისწინებულია კანონით. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა კი ადგენს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ვალდებულებებს. შესაბამისად, იგი შეიძლება ჩაითვალოს ამგვარ გამონაკლისად. ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს სამართალწარმოება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუნდაც გამართლებული ყოფილიყო მოსარჩელის მონაცემების დაშიფვრა, სასამართლოს მიერ გამოყენებული იქნა ამ გადაწყვეტილების მისაღებად არასწორი სამართლებრივი საფუძველი.

გ) გადაწყვეტილების მიღების პროცესის პრობლემურობა

საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 15 თებერვლის საოქმო ჩანაწერში საკუთარი ინიციატივით, მხარის მოთხოვნის გარეშე, დაშიფრა მოსარჩელის პერსონალური მონაცემები. საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერში არ მიუთითებია აღნიშნულის საფუძველი და არც რაიმე სახის დასაბუთება. 2017 წლის 18 ივლისს IDFI-მ საჯარო ინფორმაციის სახით გამოითხოვა მოსამართლეების მიერ ხელმოწერილი საოქმო ჩანაწერის ასლი. სასამართლომ კანონით განსაზღვრული ვადების დარღვევით, მხოლოდ 2017 წლის 11 ოქტომბერს მოგვაწოდა საოქმო ჩანაწერის და ასევე 2017 წლის 15 თებერვალს მიღებული განჩინების ასლები, სადაც განმარტებულია ამავე დღეს მიღებული საოქმო ჩანაწერის დამტრიახვის მიზეზები.

მიუხედავად იმისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, ყველა განჩინება უნდა გამოქვეყნდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, აღნიშნული განჩინება დღემდე არ არის საჯაროდ

ხელმისაწვდომი. ამასთან, გაუგებარი რჩება, ის თუ რატომ მიიღო სასამართლომ საოქმო ჩანაწერის დაშტრიხვაზე ცალკე განჩინება და რატომ არ იმსჯელა იმავე საოქმო ჩანაწერში აღნიშნული საკითხის შესახებ, როგორც ეს შემდგომ, 2017 წლის 12 ოქტომბერს მიღებულ განჩინებაში გააკეთა.

აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებაზე საპასუხოდ, სასამართლოს თითქმის 3 თვე დასჭირდა. ზემოაღნიშნული გარემოებების ერთობლიობა, აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ 2017 წლის 15 თებერვლით დათარიღებული განჩინება მიღებული იქნა შესაბამისი პროცედურების დარღვევით.

რეკომენდაციები:

- *კანონმდებლობით ცხადად უნდა გაიწეროს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილილება სასამართლოს აქტის დაშტრიხვასთან დაკავშირებით;*
- *საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში ცხადად უნდა გაიწეროს წესები თუ რა შემთხვევაში შეუძლია პირს მოითხოვოს პერსონალური მონაცემების დაფარვა, ასევე უნდა განისაზღვროს რა პროცედურებით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ და რა შემთხვევაში დააკმაყოფილებს ან არ დააკმაყოფილებს პირის მოთხოვნა;*
- *საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უნდა გამოქვეყნოს მიღებული სამართლებრივი აქტები, რათა არ წარმოიშვას საფუძვლიანი ეჭვები მათი მიღებისას პროცედურული წესების დარღვევასთან დაკავშირებით.*

III

საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლის დისციპლინურ სამართალწარმოების პრობლემატური ასპექტები

პროექტის მიმდინარეობისას, ჩვენთვის ინფორმაციის სახით გახდა ცნობილი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ მიმართა ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიას დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის მოთხოვნით. 2017 წლის 25 სექტემბერს, ჩვენმა ორგანიზაციამ, მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა ინფორმაცია, არსებობდა თუ არა მოსამართლეების მიმართ მიმდინარე დისციპლინური საქმეები, რომლებზეც ჯერ საბოლოო შედეგი არ დამდგარა.

საკონსტიტუციო სასამართლომ სამწუხაროდ არ მოგვაწოდა საჯარო ინფორმაცია და ჩვენი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. შესაბამისად, ჩვენთვის ოფიციალური სახით უცნობია, ქონდა თუ არა ასეთ ფაქტს ადგილი და თუ ქონდა რა სტადიაზეა აღნიშნული საკითხის განხილვა. სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მოიპოვება. თავისთავად, სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის არ მოწოდება დამატებით კითხვებს აჩენს ამ საკითხთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დარღვევით, ასევე არ მოგვწოდა მოსამართლე მერაბ ტურავას დისციპლინურ საქმეზე მიღებული დასკვნა. IDFI-მ

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე მერაბ ტურავას მიმართ 2015 წლის 6 სექტემბერს დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების საქმეზე მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოს ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის დასკვნის ასლის გადაცემა მოითხოვა.

სასამართლოს განმარტებით, დასკვნის გაცემა გამოიწვევდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების პოზიციების გამჟღავნებას, თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას საქმესთან დაკავშირებით, რომელთან კავშირშიც დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე მერაბ ტურავას მიმართ. შესაბამისად, დაირღვეოდა თათბირის საიდუმლოება.

გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა, რომ IDFI-ის მიერ მოთხოვნილი ეთიკისა და დისციპლინური საქმეთა კომისიის დასკვნა დახურულ სხდომაზე განსახილველ საკითხს წარმოადგენს. ხოლო სხდომის დახურვა აზრს დაკარგავს, თუ განხილული ინფორმაცია და დასკვნაში ასახული მოტივაცია ყველასთვის გახდება საჯარო. აღსანიშნავია, რომ სასამართლო მანამდე მოგვარდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, 2016 წლის 14 დეკემბერს ჩატარებულ კენჭისყრაზე საკონსტიტუციო სასამართლოს არცერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა მოსამართლე მერაბ ტურავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.

მიგვაჩნია, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის საჯაროობის პრინციპი. ვიზიარებთ იმ გარემოებას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს აქვთ ვალდებულება, არ გაამჟღავნონ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამართული თათბირის საიდუმლო, მოსამართლის მიერ კენჭისყრისას დაკავებული პოზიცია, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სრულად ხელმიუწვდომლობის საზოგადოებისთვის. ამ მიზნებისათვის, მთავარია, ცნობილი არ გახდეს მოსამართლის მიერ კენჭისყრისას დაკავებული პოზიცია, თათბირის არსი.

ასევე მიგვაჩნია, რომ დაუსაბუთებელია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი იმ საფუძველზე, რომ, დისციპლინურ საქმეზე, ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის დასკვნის მოწოდების შემთხვევაში, გამჟღავნდებოდა საქმესთან დაკავშირებით მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოებები. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ IDFI-ისთვის გამოგზავნილ წერილში დასაბუთებული არ ყოფილა კავშირი ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის დასკვნასა და საქმესთან დაკავშირებით მოსამართლეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს შორის. გარდა ამისა, აუცილებელია დაცული იქნეს ბალანსი სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობასა და მოსამართლეთა პოზიციის საიდუმლოების დაცვას შორის. შესაბამისად, მაშინაც კი, თუ იარსებებდა რეალური კავშირი ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის დასკვნასა და კონსტიტუციურ სარჩელზე მოსამართლეთა მიერ გამოთქმულ პოზიციებს შორის, ზემოაღნიშნულ დისბალანსს აღმოფხვრიდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის შესაბამისი ნაწილების დაშტრიხული სახით გადაცემა.

ამ კუთხით ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ განსახილველი სხდომის დახურვის შესაძლებლობა მოცემულია საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტში რომელიც არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს, არ აქვს კანონის ძალა. თვითონ საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ დაადგინა სტანდარტი, რომლის თანახმადაც, საჯარო ინფორმაციაზე წვდომა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით. აღნიშნული ფორმალური მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, მაშინ როდესაც (1) საკითხი უშუალოდ მოწესრიგებულია კანონით; ან (2) კანონმდებელმა კანონით მოახდინა საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება სხვა კომპეტენტურ ორგანოზე“. განსახილველ შემთხვევაში კანონმდებლის მხრიდან არცერთ ნორმატიულ აქტში არ არის მოცემული, რომ

ეთიკის და დისციპლინური კომისიის დასკვნა არის გასაიდუმლოებული, შესაბამისად, საექვო ფორმალური თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის ნორმა, რამდენად აკმაყოფილებს საჯარო ინფორმაციის წვდომაზე კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის საფუძვლებს.

ექვგარეშეა, რომ მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მექანიზმი მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის მიღწევას ემსახურება. ამასთან, დისციპლინური წარმოების წესები და პრაქტიკა არ უნდა იძლეოდეს მისი ბოროტად გამოყენების და ამგვარად კონკრეტულ მოსამართლეებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას.

განუსაზღვრელი ან არაგონივრულად ხანგრძლივი ვადით მოსამართლის წინააღმდეგ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება და, შესაბამისად, შესაძლო მძიმე დისციპლინური სანქციის მოლოდინი, საფრთხეს უქმნის ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას. მითუმეტეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლესთან მიმართებით კანონმდებლობა დისციპლინური სანქციის სახით მხოლოდ უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა და კანონმდებლობა ემყარებოდეს მაქსიმალურად გამჭვირვალე პროცედურებს.

რეკომენდაციები:

- *საკონსტიტუციო სასამართლომ მიმდინარე და დასრულებულ დისციპლინურ საქმეებთან დაკავშირებით სრულყოფილად უნდა გაასაჯაროვოს ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში, საჯაროობის ინტერესის პროპორციული შეზღუდვით;*
- *საქართველოს პარლამენტმა და საკონსტიტუციო სასამართლომ დაიწყო მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობის და შიდა აქტების დახვეწა იმდაგვარად, რომ გამოირიცხოს დისციპლინური სამართალწარმოების ბოროტად გამოყენების საფრთხეები;*
- *მნიშვნელოვანია მკაცრად განისაზღვროს მოსამართლის წინააღმდეგ არსებული დისციპლინური საქმის განხილვის და გადაწყვეტის ვადები, განუსაზღვრელი ვადით არ მიმდინარეობდეს დისციპლინური სამართალწარმოება.*

IV

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელებისა და წარდგინებების განხილვის ვადები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებულია, რომ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან. ხოლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის განხილვა-გადაწყვეტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4

თვეს. ორივე შემთხვევაში ვადის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს 2 თვით საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, კანონით განაზღვრული ცხრათვიანი ვადა განიმარტება როგორც საქმის არსებითად განხილვის ვადა. შესაბამისად, არსებული პრაქტიკით, კონკრეტული ვადა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილი არ არის.

არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს მიუხედავად, მნიშვნელოვანად მიგვაჩნია მიმოვიხილოთ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის სტატისტიკური ვადები სასამართლოს პრაქტიკაში, რათა პოტენციურ მოსარჩელებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დაახლოებით განსაზღვრონ, თუ რა დროში უნდა ელოდონ სასამართლოს მიერ მათი დავების გადაწყვეტას.

IDFI-მ გამოიკვლია საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია 2016-2017 წლებში რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელებსა და წარდგინებებთან დაკავშირებით, მათ შორის არსებითად განსახილველად მიღებისა და საქმის განხილვის საკითხიც. უფრო ზუსტად, კვლევის ფარგლებში დამუშავდა საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელები და წარდგინებები, საოქმო ჩანაწერები, განჩინებები, ინფორმაცია სასამართლო სხდომების შესახებ და სასამართლო გადაწყვეტილებები.

იმის გამოსათვლელად, თუ დაახლოებით რა ვადაში წყვეტს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელისა თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხს, IDFI-მ იხელმძღვანელა იმ 2016-2017 წლებში რეგისტრირებული იმ საქმეებით, რომლებზეც საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ, მეორე კოლეგიამ ან პლენუმმა არსებითად განხილვის საკითხი უკვე გადაწყვიტა. უფრო ზუსტად, IDFI-მ გამოთვალა თითოეული ამ კონსტიტუციური სარჩელისა თუ წარდგინების რეგისტრაციიდან მათი არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე არსებული ვადები. შემდეგ ეს რიცხვები დაჯგუფდა გადაწყვეტილების მიმღები კოლეგიებისა თუ პლენუმის მიხედვით, რამაც შესაძლებელი გახადა საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის, მეორე კოლეგიისა და პლენუმის მიერ კონსტიტუციური სარჩელისა და წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად საჭირო დროის საშუალო მაჩვენებლის გამოთვლა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ყველაზე სწრაფად კონსტიტუციური სარჩელისა თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხს საკონსტიტუციო პლენუმი წყვეტს.

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია	საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია	საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი
6 თვე და 25 დღე	8 თვე და 12 დღე	6 თვე და 18 დღე

იმის გამოსათვლელად, თუ დაახლოებით რა ვადაში ინიშნება არსებითი განხილვის სხდომა, IDFI-მ იხელმძღვანელა 2016-2017 წლებში რეგისტრირებული იმ საქმეებით, რომლებზეც საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ, მეორე კოლეგიამ ან პლენუმმა საქმის არსებითი განხილვის სხდომა უკვე ჩაატარა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კონსტიტუციური სარჩელისა თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ არსებითი განხილვის სხდომას ყველაზე სწრაფად საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი ნიშნავს.

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია	საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია	საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი
9 თვე და 4 დღე	11 თვე და 22 დღე	4 თვე და 1 დღე

იმის გამოსათვლელად, თუ დაახლოებით რა ვადაში მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება საქმეზე, IDFI-მ იხელმძღვანელა 2016-2017 წლებში რეგისტრირებული იმ საქმეებით, რომლებზეც საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ, მეორე კოლეგიამ ან პლენუმმა საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიიღო, ასევე წინა წლებში რეგისტრირებული იმ საქმეებით, რომლებზეც საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება 2017 წელს მიიღო. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კონსტიტუციური სარჩელსა თუ წარდგინებაზე გადაწყვეტილებას ყველაზე სწრაფად საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია იღებს.

აღსანიშნავია, რომ განსახილველ პერიოდში, საკონსტიტუციო სასამართლოს ყველაზე ხანგრძლივი ვადა საბოლოო გადაწყვეტილების დასჭირდა „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალის კონსტიტუციურ სარჩელზე, რომელიც შეეხებოდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის პრეზუმფციის კონსტიტუციურობის საკითხს, (კონსტიტუციური სარჩელი N550). სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო სარჩელის შეტანიდან, 4 წლის 9 თვის და 13 დღის შემდეგ.

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია	საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია	საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი
1 წელი, 6 თვე და 20 დღე	1 წელი, 11 თვე და 10 დღე	1 წელი, 8 თვე და 17 დღე

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს, სახელმწიფოში ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის დასაცავად და გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია სასამართლომ საქმეები გონივრულ ვადაში განიხილოს.

საერთაშორისო გამოცდილების კვლევა აჩვენებს, რომ კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანოებს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მკაცრად განსაზღვრული ვადები არ აქვთ, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ სწრაფი მართლმსაჯულება სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი შეამდგენელი ნაწილია და შესაბამისად პირდაპირ დაკავშირებულია მოსარჩელეთა კონსტიტუციური უფლებების ეფექტურ უზრუნველყოფასთან.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სტატისტიკური მონაცემები არ გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო საქმეებს კონკრეტული თანმიმდევრობით განიხილავს, ან რომ საქმეებს გარკვეული ტიპის პრიორიტეტი ენიჭებათ. აღნიშნული იმით არის

განპირობებული, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით პრიორიტეტული საქმეების განსაზღვრის შესაძლებლობა გათვალისწინებული არ არის. საერთაშორისო სტანდარტების კვლევა აჩვენებს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, სასამართლოები გარკვეული კატეგორიის საქმეებს უპირატესობას ანიჭებენ. თუმცა, კანონით გათვალისწინებული უნდა იყოს პრიორიტეტული საქმეების განსაზღვრის კრიტერიუმები. მაგალითისათვის, სხვა საქმეებზე ადრე შეიძლება განიხილებოდეს ის კონსტიტუციური სარჩელები, რომლებშიც მოსარჩელეს თავისუფლება აქვს აღკვეთილი.

რიგ შემთხვევაში, ასევე ჩნდება ეჭვის საფუძველი, რომ სასამართლო განზრახ აჭიანურებდა კონკრეტული გახმაურებული საქმეების არსებითად განსახილველად მიღებას, რათა შემდგომში კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების გამო უარი ეთქვა საქმეების განხილვაზე.

მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ 2016, 2017 წლების განმავლობაში ზედიზედ ორჯერ არ განიხილა საქმე, (N749 და 1215 სარჩელები) რომელიც შეეხებოდა „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს საპატრიარქოსთვის და მასთან არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისთვის, ასევე სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტებისა და საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებებისათვის განკუთვნილი ასიგნებების არაკონსტიტუციურობას.

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი მოქმედებს ერთი წლის ვადით, ამ ვადის გასვლის შემდეგ სასამართლოს უკვე ჰქონდა ფორმალურ საფუძველი შეეწყვიტა საქმეზე წარმოება.

რეკომენდაციები:

- *მნიშვნელოვანია კანონმდებლობით განისაზღვროს კონკრეტული ტიპის საქმეების პრიორიტეტიზაციის წესი, რაც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას დაჩქარებული წესით განიხილოს და გადაწყვიტოს კონკრეტული კატეგორიის საქმეები;*
- *სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმეების არსებითად განსახილველად მიღების პროცესის გაჭიანურება არ უნდა ტოვებდეს სასამართლოს მიერ რიგი საქმეების განხილვისგან თავის არიდების შთაბეჭდილებას;*
- *მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანოებს შესაძლოა არ ჰქონდეთ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მკაცრად განსაზღვრული ვადები, მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებები მაქსიმალურად გონივრულ ვადებში მიიღებოდეს.*

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ინფორმაციის საჯაროობის პრინციპის უზრუნველყოფის პრობლემები

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა აჩვენებს, რომ სასამართლო სრულყოფილად არ ითვალისწინებს ინფორმაციის გაცემისთვის კანონით დადგენილ ვადებს.³

IDFI-მ 2017 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს 5 ტიპის საჯარო ინფორმაციის გადაცემის მოთხოვნით მიმართა, თუმცა 4 შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ IDFI-ის საჯარო ინფორმაცია ვადის გადაცილებით მიაწოდა, ხოლო 1 შემთხვევაში IDFI-ის მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. უფრო ზუსტად, 2017 წლის 25 სექტემბერს IDFI-მ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და მოითხოვა ინფორმაცია, არსებობდა თუ არა მოსამართლეების მიმართ მიმდინარე დისციპლინური საქმეები, რომლებზეც ჯერ საბოლოო შედეგი არ დამდგარა. საკონსტიტუციო სასამართლომ IDFI-ის აღნიშნული მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ IDFI-ის წერილებზე პასუხების სტატისტიკური ანალიზის თანახმად, სასამართლო IDFI-ს საჯარო ინფორმაციას საშუალოდ განცხადების ჩაბარების თარიღიდან 55 დღის განმავლობაში აწვდიდა.

განცხადების ჩაბარების თარიღი	პასუხის გაცემის თარიღი	დღეების რაოდენობა
6/29/2017	7/21/2017	17
7/18/2017	10/11/2017	62
8/7/2017	11/10/2017	70
8/15/2017	11/17/2017	69
9/25/2017	უპასუხო	-

³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ.“ ეს მუხლი ასევე განსაზღვრავს საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის მაქსიმალურ ვადას - 10 დღეს, რომელიც მხოლოდ მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევების დროს შეიძლება იქნას გამოყენებული. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც საჯარო დაწესებულება ამ ნაწილში ვალდებულია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან კანონით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში მაქსიმუმ 10 დღის ვადაში გადასცეს პირს საჯარო ინფორმაცია


აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში ჩვენი ორგანიზაციის მიერ გამოთხოვილ იქნა განსაკუთრებულად დიდი მოცულობის ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა 2012-2017 წლებში დასაქმებული თანამშრომლების და გაწეული სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ საჯარო ინფორმაციას და ფინანსურ ანგარიშებს. მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად კანონით დადგენილი ვადების დარღვევისა, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული მოცულობითი ინფორმაცია სრულყოფილად მოგვაწოდა.

გარდა საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხისა ასევე გამოვლინდა ხარვეზები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების პროცესშიც.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2013 წლის 27 დეკემბერს მიიღო დადგენილება, რომელიც საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისა და ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტებს აწესებს. უფრო ზუსტად, აღნიშნული დადგენილებით საკონსტიტუციო სასამართლომ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მსგავსად, პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტი სრულად მოიყვანა თანხვედრაში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ სტანდარტებთან.

ჯამში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ აიღო 7 ტიპის საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება. თავის მხრივ, აღნიშნული ტიპები ჯამში მოიცავს 37 ქვეტიპს.

IDFI-ის მიერ 2018 წლის მარტში ჩატარებულმა საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდის მონიტორინგმა აჩვენა, რომ დადგენილების მოთხოვნების დაცვით გამოქვეყნებულია მხოლოდ 7 ქვეტიპის საჯარო ინფორმაცია, 5 - არასრულად, ხოლო საერთოდ არ არის გამოქვეყნებული - 25.



რეკომენდაციები:

- *ინფორმაციის საჯაროობის პრინციპის დასაცავად და საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისათვის, აუცილებელია სასამართლომ დროულად გასცეს და უპასუხოდ არ დატოვოს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია;*

- მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლომ სრულყოფილად შეასრულოს 2013 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისა და ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტები, რაც გულისხმობს დადგენილებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის ვებგვერდზე სრულად გამოქვეყნებასა და განახლებას

VI

საკონსტიტუციო სასამართლოს ადმინისტრაციული ხარჯების ანალიზის შედეგები⁴

2017 წლის 11 აგვისტოს IDFI-მ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა 2012-2017 წლებში დასაქმებული თანამშრომლების და გაწეული სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. საკონსტიტუციო სასამართლომ კვლევის ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაცია IDFI-ს სრულყოფილად მიაწოდა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012-2017 წლების ფინანსური მონაცემების ანალიზის შედეგად კითხვები ჩნდება წლების განმავლობაში საბიუჯეტო სახსრების ოპტიმალურ განკარგვასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოში შესული საქმეების მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე, დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობის კლება, მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს წლების განმავლობაში სასამართლოს ადმინისტრაციული რესურსისა და მათ წინაშე მდგარი ამოცანების გონივრულ თავსებადობასთან დაკავშირებით.

ამასთან, მოსამართლეთა საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე პრობლემურად უნდა შეფასდეს წლების განმავლობაში შესაბამისი დასაბუთების გარეშე მოსამართლეებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის პრაქტიკა. კერძოდ, 2012 წლიდან 2017 წლის აგვისტოს ჩათვლით საკონსტიტუციო სასამართლოს 9 მოსამართლეზე პრემიისა და დანამატის სახით გაცემულია დაახლოებით 2 მილიონი ლარი და ყოველწლიურად მათ პრემია/დანამატებზე უფრო მეტი თანხა იხარჯება, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა ყველა თანამშრომელზე ერთად.

საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვად შესაძლებელია შეფასდეს 2016-2017 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ავტოპარკის განახლებაზე გაწეული ხარჯები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, 2017 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისათვის 176 150 ლარად შესყიდული ავტომობილი, რაც შეუსაბამოა საჯარო სექტორში ბოლო დროს ავტომობილების შესყიდვაზე გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციის კარგ პრაქტიკასთან.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოში შიდა ფინანსური კონტროლის სამსახურის და შესაბამისი სრულფასოვანი მექანიზმების არარსებობა, მნიშვნელოვნად ზრდის საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური განკარგვის რისკებს.

⁴ კვლევის სრული ვერსიის ნახვა შესაძლებელია IDFI-ს ვებგვერდზე <https://bit.ly/2pxlvgo>

რეკომენდაციები:

- *საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს შიდა ფინანსური კონტროლის ეფექტიანი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას, მათ შორის, სამსახურებრივი ავტომობილებით სარგებლობის, სამიველინებო, წარმომადგენლობითი და სხვა ხარჯების მიზნობრიობის კონტროლს;*
- *საკანონმდებლო ცვლილებების მეშვეობით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო შესაბამისობაში უნდა მოვიდეს, საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი კანონის მიხედვით, უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებისათვის განსაზღვრულ ყოველთვიურ სარგოსთან. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შეიზღუდოს შესაბამისი დასაბუთების გარეშე პრემიებისა და სახელოვასო დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა;*
- *საკონსტიტუციო სასამართლომ უზრუნველყოს ავტოპარკის ოპტიმალური განკარგვა. კარგი პრაქტიკის სახით, სასამართლოს მიერ მხედველობაში შეიძლება იქნას მიღებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესები;*
- *საკონსტიტუციო სასამართლომ უზრუნველყოს აპარატის საშტატოს ნუსხაში სტრუქტურული ერთეულების ოპტიმალური ფორმირება, რაც გამორიცხავს აპარატში მაღალი რანგის თანამდებობის პირების პოზიციების ხელოვნურ შექმნას და დამატებით ბიუროკრატიულ ხარჯებს;*
- *უნდა გადაიხედოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისთვის გამოყოფილი საწვავის ლიმიტების მოცულობა, იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობით უფრუზველყოფილია ქალაქ ბათუმში მოსამართლეთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხები.*

შ ე ჯ ა მ ე ბ ა

საკონსტიტუციო სასამართლოს მონიტორინგის პროცესმა გამოავლინა, რომ სასამართლოს საქმიანობაში რიგი ხარვეზები არსებობს, რომლებიც აფერხებს სასამართლოს გამჭვირვალობის და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების პრინციპების სრულყოფილ რეალიზებას.

გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად და ჩამოყალიბებული რეკომენდაციების პრაქტიკული იმპლემენტაციისთვის, პროექტის გუნდმა მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომელიც განხილულ იქნა სხვადასხვა საუნივერსიტეტო სივრცეში და პროფესიულ წრეებში.

ჩვენი ორგანიზაცია მზად არის ჩაერთოს საკანონმდებლო ცვლილებების პროცესში, რომლის მიზანიც იქნება სასამართლოს საქმიანობის და მისი მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და ამით ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების ამაღლება.